

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40
2016 წლის 29 დეკემბერი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2015 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016198) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 29 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მაიზერ ნანავა

დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება			2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 001,9	21,207.0	6,967.0	14,240.0	22,685.3	6,322.4	16,362.9
გადასახადები	761,3	1,595.0	0.0	1,595.0	3,930.0	0.0	3,930.0
გრანტები	12 945,2	18,652.5	6,967.0	11,685.5	18,087.5	6,322.4	11,765.1
სხვა შემოსავლები	1 295,4	959.5	0.0	959.5	667.8	0.0	667.8
ხარჯები	9 529,4	14,975.4	1,263.6	13,711.8	18,181.7	1,068.0	17,113.7
შრომის ანაზღაურება	2 354,9	3,845.5	0.0	3,845.5	4,542.2	0.0	4,542.2



საქონელი და მომსახურება	1 343,1	1,817.0	6.0	1,811.0	1,542.1	28.5	1,513.6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	4 708,4	5,035.8	0.0	5,035.8	6,590.7	0.0	6,590.7
გრანტები	0,0	1,568.0	0.0	1,568.0	2,031.8	0.0	2,031.8
სოციალური უზრუნველყოფა	886,9	893.0	0.0	893.0	1,314.2	0.0	1,314.2
სხვა ხარჯები	236,1	1,816.1	1,257.6	558.5	2,160.7	1,039.5	1,121.2
საოპერაციო სალდო	5 472,5	6,231.6	5,703.4	528.2	4,503.6	5,254.4	-750.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 011,4	7,277.9	6,494.0	783.9	6,581.2	6,469.9	111.3
ზრდა	6 053,3	7,437.9	6,494.0	943.9	7,781.2	6,469.9	1,311.3
კლება	41,9	160.0	0.0	160.0	1,200.0	0.0	1,200.0
მთლიანი სალდო	-538,9	-1,046.3	-790.6	-255.7	-2,077.6	-1,215.5	-862.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-538,9	-1,072.0	-800.0	-272.0	-2,084.8	-1,222.8	-862.0
ზრდა	126,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	126,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	665,8	1,072.0	800.0	272.0	2,084.8	1,222.8	862.0
ვალუტა და დეპოზიტები	665,8	1,072.0	800.00	272.00	2,084.8	1,222.8	862.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	0,0	-25.7	-9.4	-16.3	-12.3	-7.3	-5.0



ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0,0	25.7	9.4	16.3	12.3	7.3	5.0
საგარეო	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0,0	25.7	9.4	16.3	12.3	7.3	5.0
ბალანსი	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა				2016 წლის გეგმა		
	2014 წლის ფაქტი	მათ შორის		სულ	მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	15 043,782	21 367,0	6 967,0	14 400,0	23,885.3	6,322.4	17,562.9
შემოსავლები	15 001,865	21 207,0	6 967,0	14 240,0	22,685.3	6,322.4	16,362.9
არაფინანსური აქტივების კლება	41,917	160,0	0,0	160,0	1,200.0	0.0	1,200.0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	15 582,7	22,540.5	7,767.0	14,771.5	25,985.6	7,545.2	18,440.4
ხარჯები	9 529,4	15,075.2	1,263.6	13,811.6	18,181.7	1,068.0	17,113.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 053,3	7,437.9	6,494.0	943.9	7,781.2	6,469.9	1,311.3



	-538,9						
ნაშთის ცვლილება		-1173.5	-800.0	-371.5	-2100.3	-1222.8	-877.5

მუხლი 3

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **22,685.3** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 001,865	21 207,0	6 967,0	14 240,0	22,685.3	6,322.4	16,362.9
გადასახადები	761,295	1 595,0	0,0	1 595,0	3,930.0	0.0	3,930.0
გრანტები	12 945,150	18 652,5	6 967,0	11 685,5	18,087.5	6,322.4	11,765.1
სხვა შემოსავლები	1 295,420	959,5	0,0	959,5	667.8	0.0	667.8

მუხლი 4

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **3,930.0** ათ. ლარის

ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	761,295	1 595,0	0,0	1 595,0	3,930.0	0.0	3,930.0
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	800.0
ქონების გადასახადი	761,295	1 595,0	0,0	1 595,0	3,130.0	0.0	3,130.0



საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	151,429	450,0	0,0	450,0	1,555.0	0.0	1,555.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	36,593	35,0	0,0	35,0	130.0	0.0	130.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	314,450	415,0	0,0	415,0	365.0	0.0	365.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	258,823	695,0	0,0	695,0	1,080.0	0.0	1,080.0

მუხლი 5

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 18,087.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა				2016 წლის გეგმა		
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის	
						სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	12 945,150	18 652,5	6 967,0	11 685,5	18,087.5	6,322.4	11,765.1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	12.9	0.0	12.9
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	17,600	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	12 927,550	18 652,5	6 967,0	11 685,5	18,074.6	6,322.4	11,752.2
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 935,300	11 685,5	0,0	11 685,5	11,752.2	0.0	11,752.2
გათანაბრებითი ტრანსფერი	7 725,300	11 455,5	0,0	11 455,5	11,522.2	0.0	11,522.2



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210,000	230,0	0,0	230,0	230,0	0,0	230,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4 992,250	6 967,0	6 967,0	0,0	6,322.4	6,322.4	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3 243,850	4 206,9	4 206,9	0,0	4,673.1	4,673.1	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 748,400	1 760,1	1 760,1	0,0	1,649.3	1,649.3	0,0

მუხლი 6

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 667.8 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1 295,420	959,5	0,0	959,5	667.8	0,0	667.8
შემოსავლები საკუთრებიდან	484,889	300,0	0,0	300,0	156.8	0,0	156.8
პროცენტები	55,872	40,0	0,0	40,0	56.8	0,0	56.8
დივიდენდები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
რენტა	429,017	260,0	0,0	260,0	100,0	0,0	100,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	427,122	260,0	0,0	260,0	100,0	0,0	100,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაგნობა და სხვა) გადაცემიდან	1,895	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	51,171	226,0	0,0	226,0	186,0	0,0	186,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	51,122	226,0	0,0	226,0	186,0	0,0	186,0
საერთო-სახელმწიფოებრივი							



სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სანებართვო მოსაკრებელი	41,439	200,0	0,0	200,0	150,0	0,0	150,0
სახელმწიფო ბაჟი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,6	1,0	0,0	1,0	1,0	0,0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,000	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9,083	20,0	0,0	20,0	30,0	0,0	30,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	5,0	0,0	5,0	5,0	0,00.0	5,0
არა საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	759,360	433,5	0,0	433,5	325,0	0,0	325,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 7

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18,181.7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა			
	2014 წლის	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი	სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



	ფაქტი	სულ	ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	შემოსვლები		ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	შემოსვლები
ხარჯები	9 529,4	15,075.2	1,263.6	13,811.6	18,181.7	1,068.0	17,113.7
შრომის ანაზღაურება	2 354,9	3,845.5	0.0	3,845.5	4,542.2	0.0	4,542.2
საკონწელი და მომსახურება	1 343,1	1,817.0	6.0	1,811.0	1,542.1	28.5	1,513.6
სუბსიდიები	4 708,4	5,035.8	0.0	5,035.8	6,590.7	0.0	6,590.7
გრანტები	0,0	1,568.0	0.0	1,568.0	2,031.8	0.0	2,031.8
სოციალური უზრუნველყოფა	886,9	893.0	0.0	893.0	1,314.2	0.0	1,314.2
სხვა ხარჯები	236,1	1,816.1	1,257.6	558.5	2,160.7	1,039.5	1,121.2

მუხლი 8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7,781.2 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა			
			მათ შორის	მათ შორის			
	2014 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	6 053,3	7,437.9	6,494.0	943.9	7,781.2	6,469.9	1,311.3
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	88,1	155.1	0.0	155.1	205.2	0.0	205.2
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	26,2	6.0	0.0	6.0	6.1	0.0	6.1
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5 687,9	7,061.8	6,280.1	781.7	6,886.2	5,917.9	968.3
განათლება	0,0	215.0	213.9	1.1	586.7	552.0	34.7



კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	251,1	0,0	0,0	0,0	95,3	0,0	95,3
---	-------	-----	-----	-----	------	-----	------

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები.

2016-2019 წლებში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

2016 წლის და შემდგომი წლების პრიორიტეტები და პროგრამები:

1. 20,0 ათასი ლარი – საარჩევნო კომისიის სამუშაო პრობლემების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 01 03)

2016 წელს არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არჩევნების სრულყოფილი ჩატარების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური კუთხით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფიქსირდება თუ არა დარღვევები შესაბამის საკითხებში.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მუნიციპალიტეტში, თავდაცვის უნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2.1. 267,9 ათასი ლარი – ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)



პროგრამა ახორციელებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას, მათი სამედიცინო შემოწმებას და გაწვევის ტრანსპორტირებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სამხედრო აღრიცხვის სრულყოფილი კოორდინაცია-უზრუნველყოფა.

სამედიცინო შემოწმების შედეგებით ჯანმრთელი ახალგაზრდების სრულად გაწვევის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3. 11,935.5 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გზების, ხიდების ინფრასტრუქტურის, მშენებლობა, რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის, გამწვანების, დასუფთავების, განათების, სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა.

3.1. 4,448.1 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა – შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

3.1.1 3,795.6 ათასი ლარი – გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სასოფლო გზების რეაბილიტაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმავალი გზების რეაბილიტაციასა და მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საკუთარი სახსრებით განხორციელდება ზუგდიდის შიდა გზების ორმულის შეკეთების სამუშაოები. მიკროპროექტების განხორციელება, ასევე გათვალისწინებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული სამუშაოების შესრულება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. მოსახლეობას მიეცემა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.1.2. 652.5 ათასი ლარი – ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა



(პროგრამული კოდი 03 01 02)

ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და შეკეთება რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხადაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით რიგი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია განხორციელდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კონკრეტული სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეკეთებული და ახლად მოწყობილი ხიდების რაოდენობრივი ზრდა.

3.2 2,465.5 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 0302)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის გაფართოება, გამწვანების სამუშაოები. სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კეთილმოწყობილი და განათებული სოფელი, სოფლის ცენტრები და უბნები.
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- სასმელი წყლით მოსახლეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.
- სოფლის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლის ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა.
- გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.

3.2.1. 97.0 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, ახალი ქსელების მოწყობა და მოხმარებული ელექტრო ენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღეღამის განმავლობაში, სოფლების ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განათებული სოფლების რაოდენობის ზრდა.

3.2.2. 1,630.0 ათასი ლარი – დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030202)



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა-განთავსების პროგრამა უმნიშვნელოვანესია ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის

უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს თვალსაზრისით. ყოველდღიური, დასასუფთავებელი ფართი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს 15,3 ჰექტარს, ხოლო გასატანი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ყოველდღიური მოცულობა 60 კუბურ მეტრამდე შეადგენს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სანიტარიულ ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის პროფილაქტიკა ჯამრთელობის დაცვის საკითხებში, მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დასაგველი საერთო ფართის ყველა უბანსა და მონაკვეთიდან დასუფთავების ნარჩენების შეგროვებისა და ნაგვის გატანის მდგომარეობის მაჩვენებლის ზრდა. სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

3.2.3 547.7 ათასი ლარი – წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030203)

მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის წყლით მომარაგების პროექტების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წყლის მომარაგების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის მაჩვენებელი.

3.2. 4. 182.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა – პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, შემოკავების სამუშაოები, გადაბერებული ხეების მოჭრა და გადაცემა სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობა და პატრონობა, რაც გულისხმობს სასაფლაოებზე ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭას; წყალანარინების სისტემის, წყლის ქსელის, გზების შემორაგვას, საფეხურების და სასაფლაოს სხვა სტრუქტურების წესრიგში მოყვანას; მიცვალებულის ნეშტის დაკრძალვისათვის საჭირო მომსახურებას; სასაფლაოების ტერიტორიის (გასასვლელები, ბილიკები, საზოგადოებრივი სარგებლობის და სხვა ადგილები) რეგულარულ დაგვადასუფთავებას, მწვანე ნარგავების კარგ მდგომარეობაში მოყვანას და სხვა; სათანადო ადგილზე ნაგავსაყრელების მოწყობას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლისა და დაცვის არსებული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება. სასაფლაოების შემოკავება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასაფლაოების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

3.3 1,793.5 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0303)



მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელებას, ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებს, სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს: წყალშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას, ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობის, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებას და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა პატრონობას, სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სადღესასწაულო დღეებში მორთვას. ქვეპროგრამის ფარგლებში გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განათების ქსელის გაფართოება ახალი წერტილების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- კეთილმოწყობილი ტერიტორიები, დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე. მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.დამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. სოფლის ქუჩებისა და უბნების განათებული იერსახე

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა;

- თემის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის გაუმჯობესება;

- დასვენებისა და გართობის ადგილების რეაბილიტაცია;

- წინა წელთან შედარებით განათებული ქუჩებისა და უბნების რაოდენობის გაზრდა, დამის საათებში დანაშაულის შემცირების მაჩვენებლის შემცირება, განათების ავარიულ მდგომარეობათა შემცირება.

3.3.1. 1,760.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ააიპ „კეთილმოწყობის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები,რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა,შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული,ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელებას, ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებს, სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს: წყალშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობის, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებისა და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა პატრონობას, სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სასდღესასწაულო დღეებში მორთვას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები, დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე. მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა.

3.3.2. 20.0 ათასი ლარი – განმუხურის ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბოტანიკური ბაღის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობა.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები. მოსარგებლების პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამსვენებელთა რიცხოვნობის ზრდა.

3.4. 60.0 ათასი ლარი – ადგილობრივი ტყეების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 0304)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მასივი და სოფლის ცენტრებში და უბნების გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ხეების უკანონოდ ჭრის მაჩვენებლის შემცირება ახლადგაშენებული ნარგავების მაჩვენებლის ზრდა.

3.5. სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწვეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

· წვიამიან ამინდში საცხოვრებელი ეზოების, სანიაღვრეების ზედმეტი წყლის მასისაგან განთავისუფლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· ნალექიან ამინდში ჭარბი წყლის დაგროვების შემცირება.

3.6. 100.0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0308)

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ-ნაწილების ფასების ზრდის გამო, მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ნაწილობრივი შევსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მგზავრთა ნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებელი

3.7. 223.5 ათასი ლარი – რეგიონალური ფონდების თანადაფინანსება (5%) (პროგრამული კოდი 0309)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N23 დადგენილების შესაბამისად რეგიონალური პროექტებისათვის თანხის გამოყოფისას სავალდებულო მოთხოვნაა პროექტების ჯამური ღირებულების არანაკლებ 5%-ის ოდენობით გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში



საკუთარი სახსრები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსების ფინანსური უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბიუჯეტის შესაბამისი კოდით გათვალისწინებული თანხების ოდენობა.

3.8. 76.1 ათასი ლარი – სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 13)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინება მემცენარეობის და მეცხოველეობის საპილოტე პროგრამების მეშვეობით, შემდგომი წლების მიხედვით პროგრამების გაფართოება და საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება როგორც ადგილობრივი მომხმარებელზე, ისე გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მომდევნო სამი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებისათვის შესაბამისი ბაზის მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელება, ცხოვრების ეკონომიური დონის ამაღლება მუნიციპალიტეტის ეკონომიური პოტენციალის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი მიღწეული ეკონომიკური შედეგები.

3.9 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 14)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის სოფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არსებული შენობა-ნაგებობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება არსებულის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოფლის მაცხოვრებლებისათვის სრულყოფილი, საჭირო გარემოს უზრუნველყოფა თვითმართველობის კომპეტენციაში შემავალი მომსახურეობის სფეროების (განათლების, კულტურის, სპორტის, თვითმართველობის) ხელმისაწვდომობისათვის. მოსახლეობის აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ადმინისტრაციულ ერთეულებში თვითმართველობის საკითხების განხილვაზე და მათ საჭიროებებზე კრებების მოწვევის და წინადადებების დაყენების შესაძლებლობა.

3.10. 304.3 ათასი ლარი – სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 15)

მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის ანაზრაურება სახელმწიფოს და ადგ. თვითმმართველობის მოვალეობაა. საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, პროექტების სწორად განხორციელების აუცილებელი პირობაა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:



ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზრაულება.პროექტების ტექნიკური და ფინანსური გაანგარიშების სისწორე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროექტებში ცვლილებების შეტანის მინიმალური ოდენობა.

4. 3,035.7 ათასი ლარი – განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებების ხელშეწყობა, სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელება, სკოლის გარეშე დაწესებულებათა დაფინანსება და ზოგადი განათლების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სკოლამდელი განთლების განვითარების ხელშეწყობა.რეაბილიტირებული და განახლებული ბაგა-ბალები და საჯარო სკოლები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე. შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

4.1. 2,300.0 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობების აღზრდაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება.ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები,რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ,გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას.ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბალებში ხდება.აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და მის სკოლამდელ აღზრდას.მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 44 საბავშვო ბაღი,სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1850 ბავშვი.მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს,მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს,ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.2016 წელს 30% -ით გადიდებულია პედაგოგებისა და სხვა პერსონალის სახელფასო განაკვეთები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სკოლამდელი აღზრდის სფეროს საბოლოო მიზანია შექმნას ისეთი გარემო,რომ 6 წლის ასაკისათვის ბავშვის განვითარებაში მიღებულ იქნას შემდეგი შედეგები:

1. სოციალურ-ემოციური განვითარება

ბავშვი ცნობიერების განვითარებას იწყებს,აქვს დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე,შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება,თანატოლებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა,როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ თამაშებში.განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი.

2. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

ბავშვი იმდენად არის განვითარებული ფიზიკურად,რომ შეუძლია საკუთარი სხეულის მოძრაობის მართვა,ზუსტი მოძრაობის შესრულება.იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს,პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები.

3. შემეცნებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები,რომ მზად არის დაეუფლოს წერა-კითხვას.განვითარებული აქვს ყურადღება და მეხსიერება,არის დაკვირვებული,შეუძლია საქმიანობის



პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა.

4. მეტყველების განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვამი, აქვს მოსმენის კულტურა. გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღთქმის უნარი. წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესებს და იცის მათი დანიშნულება.

5. სწავლისადმი მიდგომა

ბავშვი არის ცნობისმოყვარე, აქტიური და ლაღი. სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება. უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბალების აღსაზრდელთა 80-90% წარჩინებულია და ბალის შემდეგ სრულად აკმაყოფილებს სკოლის დაწყებით საფეხურზე შემსვლელი მოსწავლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.
- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება.
- ბავშვების აზროვნების, ემოციური სამყაროს, ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა. მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.
- საბავშვო ბალებს უნდა ჰყავდეს ექიმები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები და ბალი შემდეგ სრულად დააკმაყოფილებს სკოლის დაწყებით საფეხურზე შემსვლელი მოსწავლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.
- ბალებს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური კადრები.
- გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მშობელი გრძნობს, რომ საბავშვო ბაღში ყოფნისას მისი შვილი უსაფრთხო გარემოში იმყოფება და მატერიალურად ხელმისაწვდომია. კმაყოფილი არიან სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მომსახურებით.

4.2. 88.0 ათასი ლარი – საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის და სხვა აუცილებელი სახელმწიფო პროგრამით დაუფინანსებელი ხარჯების გაწევა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულყოფილი სასწავლო პროცესი დაკეთილმოწყობილი

4.3. 556.7 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმ. ერთეულში სკოლამდელი დაწესებულება განთავსებულია არასტანდარტულ, კეთილმოუწყობელ ან დროებით ფართში, რის გამოც, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად აყენებს საკითხს სკოლამდელი დაწესებულების შენობის მშენებლობის თაობაზე.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელთათვის სრულყოფილი პირობების შექმნა სკოლამდელი განათლების და აღზრდის მიღების საკითხში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტულად შერჩეული პრიორიტეტი ადმ.ერთეულის მიხედვით სკოლამდელი დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თაობაზე.

4.4. 86.0 ათასი ლარი – სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 0404)

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვა, პროფესიონალი კადრების, სპეციალისტების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. მუნიციპალიტეტში ხეხილის ეროვნული სანერგე მეურნეობიდან თანამედროვე სანერგე მასალის შექმნა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ადმინისტრაციულ ერთეულებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; მოსწავლეთა მომზადება ხეხილის ნერგების გასხვლა-მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით; დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობის მიზნით; მეფუტკრეობის, როგორც დარგის განვითარებისთვის სპეციალისტთა მომზადება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების და სიახლეების დანერგვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომზადებული სოფლის მეურნეობის კადრების რაოდენობა და მათი დასაქმების პროგრამების განხორციელება.

4.5. 5.0 ათასი ლარი – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0405)

განსაკუთრებული ნიჭისა და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უზრუნველსაყოფად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვთა პოტენციალის ზრდის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ხელშეწყობილ ნიჭიერ ბავშვთა მიერ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც ქვეყანაში ისე, მის ფარგლებს გარეთ.

5. 2,758.3 ათასი ლარი – კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

5.1.1. 230.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)



სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ვეტერან სპორტსმენტა მიღწევების პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წარმატებულ სპორტსმენტა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.1.2 429.1 ათასი ლარი – ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

აღნიშნული პროგრამა ა.ა.ი.პ. „ოდში 1919-ის“ ბაზაზე კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ბავშვთა და მოზარდთა მომზადებას საფეხბურთო გუნდებისათვის, მატჩებში და ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. უზრუნველყოფს საფეხბურთო გუნდების მომზადებას, მატჩებში და ტურნირებში მონაწილეობის მიღების ღონისძიებებს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეების (სპორტსმენების), აგრეთვე სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკების მზადების პროცესს და წლიური საწვრთნელო პრცესების ორგანიზებას, როგორც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების, ასევე უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის რეზერვების მომზადება. პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატებას. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ცენტრის მოსწავლეებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში, მათი მეთოდურად აღზრდა და დაოსტატება.

ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდების მიღწეული მაჩვენებლები.

5.1.3. 388.9 ათასი ლარი –ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდში 1919-ის“ პროფესიული გუნდის განვითარებას. საფეხბურთო შეხვედრებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება; კლუბისათვის საჭირო და პერსპექტიული სპორტსმენების მოზიდვა; კლუბისათვის საჭირო სავარჯიშო და სატურნირო ინვენტარის შეძენა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მომზადებული საფეხბურთო გუნდების ფუნქციონირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ჩატარებული შიდა შეჯიბრებების რაოდენობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის შედეგები.

5.2. 1,543.1 ათასი ლარი-კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)



კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა-აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის კულტურულ შემეცნებითი დონის ამაღლება. მოსწავლე ახალგაზრდობაში სამუსიკო-სახელოვნებო განათლების უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიხედვით მუსიკალური კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების რაოდენობის ზრდა.

5.2.1. 165.0 ათასი ლარი – ადგილობრივი მუზეუმების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050201)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების (იონა მეუნარგიას, კონდრატე თათარიშვილის, სოლომონ ცაიშვილი, ალექსანდრე საჯაიას, ვანიონ დარასელის ზურაბ ნარმანიას, მედია მუზეუმი), რომელთა ფუნქციონირებასა და მოვლა-შენახვა მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქცია და მოვალეობა მუზეუმების მართვის ცენტრის პროექტით წარმოდგენილია აქვს რიგი ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველყოფას, მათ შორის საიუბილეო, ლიტერატურული შემოქმედებითი საღამოების ჩატარება, ხელნაწერების რესტავრაცია და გამოცემა, მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მოსახლეობაზე მეტი ინფორმაციის მიწოდება სახელოვნო წინაპრების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის კულტურული შემეცნებითი დონის ამაღლება და შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და მოწესრიგებული ადგილობრივი მუზეუმები და დამთვალირებელთა მაჩვენებლები.

5.2.2. 100.0 ათასი ლარი -სახელოვნებო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050202)

სახელოვნებო პროგრამის განვითარება N2 სამუსიკო სკოლის ბაზაზე. მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა დაოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა. მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. საანგარიშო კონცერტები, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები.მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მუსიკალური განათლების მიცემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარებული კონცერტების ღია გაკვეთილების ღონისძიებების ხარისხობრივი მაჩვენებელი.



5.2.3. 29.1 ათასი ლარი – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 050203)

კულტურული ძეგლების მოვლის შენახვის პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების სამუშაოების ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო, ექსპედიციის მოწყობას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნი-გზამკვლევის გამოცემას და სხვა ღონისძიებებს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობის მოწესრიგება და რეაბილიტაციის და მოვლითი სამუშაოების მაჩვენებლები.

5.2.4. 266.7 ათასი ლარი – ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050204)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ა.ა.ი.პ. „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ბაზაზე. პროგრამის მიზანია: წიგნის კითხვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამეცნიერო-საგანმანათლო ღონისძიებების ორგანიზება. შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. თანამედროვე შემოქმედი ავტორების პოპულარიზება. საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. წიგნიერების გაზრდა. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. ღონისძიებების ინტესივობა და ხარისხი. მკითხველთა რაოდენობის გაზრდა. წიგნის კვირეულის ჩატარება. ფოტო გამოფენების მოწყობა. საბიბლიოთეკო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ასევე წიგნადი ფონდის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება, ინტელექტუალურად განვითარებულ პირთა რაოდენობრივი ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მკითხველთა რაოდენობის ზრდა.

5.2.5. 150.0 ათასი ლარი – კულტურული ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 05 02 05)

კულტურული ღონისძიებათა პროგრამით გათვალისწინებულია: საახალწლო -საშობაო, ქალთა და დედის დღისადმი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ანიმაციური ფილმების ფესტივალი, 12-ე კლასელების ბოლო ზარის ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ზუგდიდქალაქობის, ვლადიკავკასიის დღესასწაული, გიორგობის, მარიამობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ლიტერატურულ შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები, კონკურსები, ანაკლიის საკურორტო სეზონის გახსნა და სხვა კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება, საზეიმო განწყობილების შექმნა ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების პროფესიონალიზმის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსახლეობის ახალგაზრდობის პოზიტიური განწყობილების ამაღლება.



5.2.6. 12.3 ათასი ლარი – საინფორმაციო საგამომცემლო საქმიანობა. (პროგრამული კოდი 05 02 06)

საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა. წიგნების, ბროშურების საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა. საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი მასალების მიმართ ინტერესის ხარისხის განსაზღვრა. მუნიციპალიტეტისათვის საჭირო საგამომცემლობათა თანადაფინანსების უზრუნველყოფა. ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში. პრესაში მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტისათვის საჭირო საკითხებზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი გამოცემათა უზრუნველყოფა. სხვადასხვა სახის ინფორმაციათა ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ინფორმაციების მოხმარების აუცილებლობა.

5.2.7. 65.0 ათასი ლარი-თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ჩხოროის სამოყვარულო თეატრის ბაზაზე (პროგრამული კოდი 050207)

სასცენო ხელოვნების პოპულარიზება და განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე თეატრალური წარმოდგენების გამართვა, თეატრის სამოყვარულო დონეზე პოპულარიზება, გასტროლებზე გასვლა, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწად მასტერ-კლასების ორგანიზება. თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრისადმი. მიღწეული წარმატებები, სპექტაკლებისა და მაცურებელთა რაოდენობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

თეატრალური ხელოვნებისადმი მოსახლეობის სიყვარულისა და პატივისცემის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპექტაკლების აქტუალობა და ხარისხი, მაცურებელთა დასწრების მაჩვენებელი.

5.2.8. 755.0 ათასი ლარი-მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა ა.ა.ი.პ.,ოდიშის" ბაზაზე (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქართული ფოლკლორული ტრადიციების აღორძინება, უკვე არსებული და ახალი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების ხელშეწყობა, ქორეოგრაფების, ლოტბარებისა და მუსიკოსებისათვის მასტერკლასების მოწყობა, სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობა, ფოლკლორული ნიმუშების მოძიება და პოპულარიზება. მოზარდთა და ახალგაზრდათა ჩართულობის გაზრდა ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ანსამბლებში, ფოლკლორის, როგორც ხელოვნების ერთერთი უძველესი დარგის პოპულარიზაცია, მომავალ თაობაში სასიმღერო და ქორეოგრაფიული ეროვნული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის შენარჩუნება სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მიღწეული წარმატებები. ადგილობრივ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღება. თანამედროვე ახალგაზრდობაში ესთეტიკური დონის ამაღლებისა და სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ცენტრი თავის აღსაზრდელებთან ერთად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. თითოეული ღონისძიება ითვალისწინებს მოსწავლის მეტყველების დახვეწას, სასცენო კულტურის შეძენას. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე, წრის მიზანია მოსწავლეებმა შეისწავლონ სხვადასხვა კუთხის ცეკვები, მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ფესტივალებსა და კონკურსებში, საქართველოში და ქვეყნის გარეთ; სამეჯლისო ცეკვებისა და საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრე, ასწავლიან მოსწავლეებს ქართულ სიმღერებს, რათა მათ შეძლონ მრავალხმიანობის გამოცნობა და შესაბამისად თვითონაც



შეასრულონ იგი;საესტრადო საკრავების წრე,ხელს უწყობს მოსწავლეთა მუსიკალური დონის ამაღლება,მუსიკისა და სიმღერებისადმი დაინტერესებას,რომ მოსწავლეებმა შეძლონ თვითონ შეასრულონ ინტრუმენტებზე აკორდების შესწავლა და დაკვრა;ხელმარჯვეთა სექცია;კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი წრე;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ღონისძიებებში და ფესტივალებში მონაწილეობის მიღების ხარისხი და შედეგები.

5.3. 30.3 ათასი ლარი – ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 0503)

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროგრამები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ დაუცველი დევნილი ახალგაზრდობისათვის კომპიუტერის, სხვადასხვა პროფესიის შემსწავლელი კურსების თანადაფინანსებას, შემოქმედებითი სემინარების ჩატარების ორგანიზებას და სხვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ახალგაზრდობის აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით, მათი ინტელექტუალური და შემეცნებითი პოტენციალის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახალგაზრდულ ღონისძიებათა თვისობრივი, შინასობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

5.4. 65.0 ათასი ლარი – რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამა ითვალისწინებს რელიგიის პატივისცემას და ხელშეწყობას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების განმტკიცება.

6.0. 2,183.7 ათასი ლარი-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.სოციალური საწარმოების განვითარება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ეპიდემიებისაგან.
- სოციალური რისკების განეიტრალება.
- ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების სოციალური დაცვა.
- უნარშეზღუდული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრირება.
- ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვა.
- დედების სოციალური უზრუნველყოფა.
- სოციალური საწარმოების, შშმპ, გენდერული საკითხების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა საკითხებზე აქტუალური პროექტების მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეპიდემიის გავრცელებისგან დაცული მოსახლეობა.
- მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.
- მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. უნარშეზღუდული ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

6.1 148.8 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარული ეპიდემოლოგიური ფონდის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო პრევენციული ზომების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან, ამცირებს ავადობის მაჩვენებელს, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა. დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება. სანიტარული ღონისძიებები საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობს გაუმჯობესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გადამდებ დაავადებათა, პარაზიტულ დაავადებათა რიცხოვნობის შემცირება, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.

6.2. 20.0 ათასი ლარი-ჯანდაცვის სხვა ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 0602)



წლის განმავლობაში, ზამთრის პერიოდში ვირუსული ინფექციების გავრცელებისას ავადმყოფი მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსება. სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ვირუსული ინფექციების და გადამდები დაავადებების გავრცელების მინიმუმამდე დაყვანა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროფილაქტიკურ და მიმდინარე ჯანდაცვის ღონისძიებათა შედეგობრივი მაჩვენებელი. ავადობის მაჩვენებლის შემცირება.

6.3 . 1,244.5 ათასი ლარი-მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0603)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

უმწეოთა სოციალური პირობების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში გარკვეულად წილად გაუმჯობესდება უმწეო კატეგორიის მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა.

6.3.1. 31.5 ათასი ლარი-ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცებისა და სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 01)

პროგრამა ითვალისწინებს 100 წელს გადაცილებულთა და მარტოხელა მოხუცების მორალურ, მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას, სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახის მხარდაჭერას. ასევე, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის-1 ოქტომბრის ღონისძიების ფინანსურ მხარდაჭერას.

- 1000 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება – 100 წელს გადაცილებული პირებისათვის. დღეის მდგომარეობით 7 ბენეფიციარი.
- 100 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება – მარტოხელა მოხუცებისათვის. დღეის მდგომარეობით 11 ბენეფიციარი.
- 200 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება – სსოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახისათვის. დღეის მდგომარეობით 16 ბენეფიციარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების თანადგომა, ზრუნვა მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების პირობების გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის რაოდენობრივი და შედეგობრივი



6.3.2. 31.0 ათასი ლარი-ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 060302)

ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას, ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით; ყოველთვიურ ფულად დახმარებას ადგილობრივ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული მეზრძოლების ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღის – 17 ოქტომბრის ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა, კონკრეტულად:

- **1000 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება - ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (ადგილობრივი და დევნილი) ვეტერანებისათვის.
- **200 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება - ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და ზურგის მუშაკებისათვის.
- **100 ლარიანი** ყოველთვიური ფულადი დახმარება – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ადგილობრივ ვეტერანებისათვის.
- **250 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების დასაფინანსებლად (დევნილი და ადგილობრივი).
- **1000 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპული მეზრძოლების ოჯახებისათვის (2008 წლის ომში).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება და მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ომის ვეტერანთა სრული შემადგენლობის სოციალური უზრუნველყოფა.

6.3.3. 55.0 ათასი ლარი-ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060303)
ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა უმწეო ოჯახების, მარტოხელა დედების, დედ-მამით ობოლი ბავშვების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერად დახმარებას, კონკრეტულად:

- **200 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – უმწეო კატეგორიის ოჯახებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა 65 ათასზე დაბალია) პირველი და მეორე შვილის შექმნაზე (ადგილობრივი და დევნილი).
- **200 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 4 შვილზე.
 - 300 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – 5 შვილზე
 - 400 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – 6 შვილზე და ა.შ.
- **500 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება - ტყუპის შექმნაზე.
- **300 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე.



• **300 ლარიანი** ერთჯერადი დახმარება – მარტოხელა დედებისათვის.

• **500 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული ბავშვების, მარტოხელა დედების ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახალშობილთა ზრდის დინამიკის მაჩვენებელი,

6.3.4. 111.0 ათასი ლარი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია (კოდი 060304)

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარებები. შშმ პირთა უფლებების დაცვის თარიღების აღნიშვნა, კონკრეტულად:

• **200 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – 18 წლამდე ასაკის ინვალიდი და ონკოლოგიური ავადმყოფი ბავშვებისათვის.

• **100 ლარიანი** ერთჯერადი დახმარება – I ჯგუფის ინვალიდებისა და ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის.

• **100 ლარიანი** ერთჯერადი დახმარება – სმენა და მეტყველება დაქვეითებული პირებისათვის.

• **100 ლარიანი** ყოველთვიური დახმარება – განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი შშმ პირებისა და ონკოლოგიური ავადმყოფების მომვლელზე (სოციალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე).

• 14 ივნისს და 3 დეკემბერს – შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირთა მხარდაჭერისათვის გატარებულ ღონისძიებათა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

6.3.5. 45.1 ათასი ლარი – მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 060305)

პროგრამა ითვალისწინებს მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას, რომლებსაც 3ყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი, კონკრეტულად:

• **200 ლარიანი** ერთჯერადი ფულადი დახმარება – მარჩენალდაკარგული პირებისათვის, ვისაც 3ყავს 18 წლამდე ასაკის შვილი.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მარჩენალ დაკარგულთა ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მარჩენალ დაკარგულთა ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

6.3.6. 29.9 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეებში დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060307)

სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, უდედმამო ბავშვების, 100 წელს გადაცილებული პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე პირთა ფინანსური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი), კონკრეტულად:

- კვების პროდუქტებით დახმარება – შობა – ახალი წლის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, უდედმამო ბავშვების, 100 წელს
- გადაცილებული პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (ადგილობრივი და დევნილი) ვეტერანებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6.3.7. 54.0 ათასი ლარი – სოფელი ხურჩის მოსახლეობის უმწეო კატეგორიის სტუდენტთა და დიალიზის პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 060308)

საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება.

საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ყოველთვიურად ანაზღაურდეს ხარჯები, ს. ხურჩაში გამგებლის წარმომადგენლის და შ.პ.ს მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ წარმოდგენილი და გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ დადასტურებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

დიალიზის პროგრამაში მყოფი ბენეფიციარების მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი უმწეო კატეგორიის სტუდენტებისათვის (რომლებიც სწავლობენ ადგილობრივ, აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში) ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსების მიზნით, ერთჯერადი 100 ლარიანი დახმარების გაწევა, კონკრეტულად:

- საზღვრისპირა ს. ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება (50%) (ადგილობრივი და დევნილი).
- 100 ლარიანი ერთჯერადი დახმარება – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი უმწეო კატეგორიის სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ ადგილობრივ, აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში.
- 100 ლარიანი ყოველთვიური დახმარება – დიალიზის პროგრამაზე მყოფი ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში მგზავრობის ხარჯების დასაფინანსებლად (ადგილობრივი და



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის და დიალიზის პროგრამაზე მყოფი ბენეფიციარების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის და დიალიზის პროგრამაზე მყოფი ბენეფიციარების შეღავათებით მოსარგებლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

6.3.8. 122.0 ათასი ლარი – სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 060309)

ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის, მეწყერის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი და დაზარალებული მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა, კონკრეტულად:

- **1000 ლარის** ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარება – ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, წყალდიდობის, მიწისძვრის, მეწყერის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი და დაზარალებული მოსახლეობისათვის (სოციალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე).
- **100 ლარიანი** ყოველთვიური ფულადი დახმარება ბინის დასაქირავებლად – საკუთარი საცხოვრებლის არმქონე უმწეო პენსიონერების, შშმ პირების, მარტოხელა დედების და მოხუცების, მარჩენალდაკარგული პირების (რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები), მრავალშვილიან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (სტატუსის მქონე პირები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის ბენეფიციარები) მხარდაჭერისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

უსახლკაროდ დარჩენილთა მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მაჩვენებელი.

6.3.9. 30.0 ათასი ლარი-დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060310)

დევენილი მოსახლეობის იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების, დევნილთა საყოფაცხოვრებო და კომუნალური პირობების ხელშეწყობის მიზნით გაუთვალისწინებელი სხვა ღონისძიებების ხარჯები. გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების ხელშეწყობა, კონკრეტულად:

- დევნილი მოსახლების იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების, დევნილთა საყოფაცხოვრებო და კომუნალური პირობების ხელშეწყობის და სხვა გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯები.
- **200 ლარიანი** ერთჯერადი დახმარება – გარდაცვლილი დევნილის დაკრძალვის ხარჯების დასაფინანსებლად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:



· დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· დევნილი მოსახლეობის ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

6.3.10. 735.0 ათასი ლარი-სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060312)

პროგრამის მიზანია: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამა ვრცელდება წელიწადში ერთხელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ადგილობრივ და დევნილ მოქალაქეებზე, (შემდგომში ბენეფიციარი) რომლებიც არ შედიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოქალაქეთა კატეგორიაში და არ აქვთ სადაზღვევო კომპანიის პოლისი, ასევე იმ მოქალაქეებზე, რომელთაც გააჩნიათ სამედიცინო დაზღვევა, მაგრამ მათთვის საჭირო სამედიცინო მომსახურება არ შედის სადაზღვევო პაკეტში.

სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამა განისაზღვრულია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სამედიცინო მომსახურება წელიწადში ერთხელ შემდეგი დანიშნულების მიხედვით:

ა) აბლაცია, სიელმე – ლიმიტი 500 (ხუთასი) ლარი;

ბ) ტომოგრაფია, კორონაროგრაფია - სოციალურად დაუცველთათვის ლიმიტი 500 ლარი, სხვა დანარჩენთათვის - ლიმიტი 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

გ) ძვირადღირებული მედიკამენტები (რომელთა ღირებულება აღემატება 50 ლარს) - სოციალურად დაუცველთათვის ლიმიტი 500 ლარი, სხვა დანარჩენთათვის - ლიმიტი 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

დ) ცერებრალური დამბლითა და აუტიზმით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობა – ლიმიტი 500 (ხუთასი) ლარი;

ე) ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება სოციალურად დაუცველთათვის – ლიმიტი 1000 (ათასი) ლარი;

ვ) „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ქვეპროგრამა – „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა იმ პირებისთვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს დაფინანსდეს დიაგნოსტიკის დადგენილი ღირებულების 30%-ით.

ყველა სხვა მოსარგებლისთვის - 70 %. მაქს. ლიმიტი - 500 (ხუთასი) ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობა გამოკვლევებისა და მკურნალობისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი.

6.4. 44.4 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 0604)

პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის განხორციელება, პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ



2300 ბენეფიციარზე, რომელთაც ოჯახების შეფასების სარეიტინგო ქულა 65-ე ნაკლებია, კონკრეტულად:

• 100 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება უმწეობის 65 ათასზე დაბალი (მინიმალური) სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის გათბობის საშუალებების შესაძენად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

6.5. 691.0 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 0605)

პროგრამის მიზანია: უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, კონკრეტულად:

• უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (შესყიდვა). (მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებული პროექტის, დებულების და კომისიის მეშვეობით).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტში ოცამდე უსახლკარო ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პრიორიტეტულად შერჩეული ბენეფიციარები.

6.6. 35,0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 06)

პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების, შშმ პირთა, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მოხუცების, მარტოხელა დედების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, სმენადაქვეითებული და მეტყველებას მოკლებულთა, უსინათლოთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, გენდერულ საკითხთა და სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა მოხდეს გამგებლის მიერ დამტკიცებული დებულებისა და კრიტერიუმების შესაბამისად სპეციალური შექმნილი კომისიის მიერ.

მუხლი 10

მარეგულირებელი ნორმები

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება განხორციელდეს ზუგდიდის ბიუჯეტის ერთიანი ანგარიშიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის მეშვეობით;

2. 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებებთა გადანაწილება წლიური ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამის საკითხზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით; 2016 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მუშაკებზე პრემიები გაიცეს შესაბამისი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში, საკრებულო მიერ დამკვიცებული წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - 230,0 ათასი ლარი



მიმართოს მათ შორის:

ა) 122,0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების და საფინანსებლად.

ბ) 88,0 ათასი ლარი – „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილების განსახორციელებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

გ) 10,0 ათასი ლარი – „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდაყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

დ) 10,0 ათასი ლარი – იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 11

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასი 2016 წლიდან გაიზარდოს 30 პროცენტით.

მუხლი 12

სარეზერვო ფონდი

2016 წლის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 114.5 ათასი ლარის ოდენობით და მისი ხარჯვა განხორციელდეს გამგებლის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის-ბრძანების საფუძველზე.

**თავი III
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

მუხლი 13

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

დასახელება	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა				
	2014 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი		საკუთარი შემოსავლები			
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	15 582,7	22,540.5	7,767.0	14,771.5	25,985.6	7,545.2	18,440.4	
მომუშავეთა რიცხოვნობა	214,0	242.0	0.0	242.0	246.0	0.0	246.0	
ხარჯები	9 529,4	15,075.2	1,263.6	13,811.6	18,181.7	1,068.0	17,113.7	
შრომის ანაზღაურება	2 354,9	3,845.5	0.0	3,845.5	4,542.2	0.0	4,542.2	
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 053,3	7,437.9	6,494.0	943.9	7,781.2	6,469.9	1,311.3	
ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	0,0	25.7	9.4	16.3	22.7	7.3	15.4	
01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3 096,7	4,919.8	0.0	4,919.8	5,804.5	0.0	5,804.5	
მომუშავეთა რიცხოვნობა	204,0	242.0	0.0	242.0	241.0	0.0	241.0	



	ხარჯები	3 008,6	4,748.4	0.0	4,748.4	5,594.3	0.0	5,594.3
	შრომის ანაზღაურება	2 249,1	3,678.0	0.0	3,678.0	4,352.0	0.0	4,352.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	88,1	155.1	0.0	155.1	205.2	0.0	205.2
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0,0	16.3	0.0	16.3	5.0	0.0	5.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	779,7	1,182.5	0.0	1,182.5	1,278.7	0.0	1,278.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	35,0	35.0		35.0	34.0	0.0	34.0
	ხარჯები	770,7	1,157.4	0.0	1,157.4	1,265.8	0.0	1,265.8
	შრომის ანაზღაურება	518,0	773.3	0.0	773.3	799.7	0.0	799.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,0	25.1	0.0	25.1	12.6	0.0	12.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0,0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.3
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	2 112,8	3,678.2	0.0	3,678.2	4,489.1	0.0	4,489.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	169,0	207.0	0.0	207.0	207.0	0.0	207.0
	ხარჯები	2 089,1	3,531.9	0.0	3,531.9	4,291.8	0.0	4,291.8
	შრომის ანაზღაურება	1 731,1	2,904.7	0.0	2,904.7	3,552.3	0.0	3,552.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,7	130.0	0.0	130.0	192.6	0.0	192.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0,0	16.3	0.0	16.3	4.7	0.0	4.7
01 03	საარჩევნო კომისიის სამუშაო პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები	8,6	0,0	0,0	0,0	20,0	0,0	20,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	8,6	0,0	0,0	0,0	20,0	0,0	20,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ფინანსური აქტივების	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
01 04	სარეზერვო ფონდი	141,5	59.1	0.0	59.1	16.7	0.0	16.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	86,1	59.1	0.0	59.1	16.7	0.0	16.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55,4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 05	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	8,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	8,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
01 06	საჯარო მოხელეთა კონკურსის ჩატარების საორგანიზციო ხარჯები	6,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	6,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
01 08	შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	5,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	5,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
